



## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო



KA011801781956914

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა; ტელ: (+995 32) 2 40 10 10, ფაქსი: (+995 32) 2-35-79-18, ცხელი ხაზი: (+995 32) 2-40-40-20, ელ.ფოსტა: info@psda.gov.ge, ვებ-გვერდი: www.psd.gov.ge

10 / დეკემბერი / 2014 წ.

N 01/251500

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,  
ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს პრეზიდენტს,  
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,  
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 2014 წლის ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების შესაბამისად, 2013 წლის სექტემბრიდან სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-ში უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“-ს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - MY.GOV.GE - მეშვეობით. აღნიშნული სერვისის საშუალებით სააგენტოში 2014 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე სულ შემოვიდა 4 მოთხოვნა.

ა) სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ 2014 წელს, 10 დეკემბრის მდგომარეობით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსული 250 განცხადებიდან 18 განცხადება ეკუთვის მედიის წარმომადგენლებს, 35 - არასამთავრობო ორგანიზაციებს, 74 - ფიზიკურ პირებს, 102 - ადმინისტრაციულ ორგანოებს, ხოლო 21 - სხვადასხვა ორგანიზაციებს/ პირებს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები, პოლიტიკურ პარტიები, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირები და ა.შ.)

რაც შეეხება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, 2014 წლის განმავლობაში მსგავსი მოთხოვნის არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

ბ) 2014 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ შემოსული განცხადებებიდან:

1. საჯარო ინფორმაცია, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 187 შემთხვევაში;
2. 6 შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
3. 21 განცხადება განხილვის პროცესშია;
4. 36 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლები (სამოქალაქო აქტების და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტები) - ნინო დანელია, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი და ლევან მღებრიშვილი, პასუხისმგებელი პირის მოვალეობის შემსრულებელი.

გ) სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ხოლო პერსონალური მონაცემების გადაცემა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და „ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“-სა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტო დეპარტამენტში არსებული მონაცემებით სარგებლობის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით აღნიშნული მონაცემების გაცემისა და გაცვლის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №40-N61-N222 ერთობლივი ბრძანების საფუძველზე.

დ) სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევის 3 შემთხვევა. შესაბამისი დარღვევისათვის დისციპლინური სახდელი დაეკისრა 3 პასუხისმგებელ პირს.

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი დებულებებით.

ვ) სააგენტოს გადაწყვეტილებები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ გასაჩივრებულა.

ზ) სააგენტოს მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები. ამასთან, ადგილი არ ჰქონდა სამინისტროსათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

პატივისცემით,



სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს  
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

შიო ხეცურიანი